



MOORE

საკანონმდებლო სიახლეები

იანვარი - მარტი, 2024

შინაარსი

ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში

გვერდი 1-2

ცვლილება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებაში №996

გვერდი 2-3

სიტუაციური სახელმძღვანელოები

გვერდი 3



სალომე ოდიშარია
საგადასახადო კონსულტანტი

T: +995 (599) 195 040
E: salome.odisharia@moore.ge



თეონა აბდუშელიშვილი
პარტნიორი

T: +995 (558) 506 006
E: theona.abdushelishvili@moore.ge



MOORE
T: +995 (322) 000 123
E: info@moore.ge
Address: 12 Tsintsadze Str/ 2 Davit Gamrekeli Str., 0160, Tbilisi, Georgia

ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში

1. 2024 წლის იანვრის თვეში შესული ცვლილებით, სადაზღვევო ორგანიზაციები მოგების გადასახადით იბეგრება ამავე კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტის (ესტონური მოდელი) მიხედვით, კერძოდ:

განხორციელებული ცვლილებებით საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლს (გარდამავალი დებულებანი) დაემატა 941-ე, 142-ე და 143-ე ნაწილები, რომელთა მიხედვით სადაზღვევო ორგანიზაცია მოგების გადასახადით საქართველოს საგადასახადო კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტის (ესტონური მოდელი) მიხედვით იბეგრება 2024 წლის 1 იანვრიდან. ამასთან, თუ სადაზღვევო ორგანიზაცია დივიდენდს გაანაწილებს 2015 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან, მას უფლება აქვს, ჩაითვალოს ამ პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხა, მაგრამ არაუმეტეს ამ კოდექსის 981-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტის მიხედვით გადასახდელი თანხისა. აღნიშნული ჩასათვლელი თანხა გამოიანგარიშება ფორმულით

A×B/(C-D), სადაც:

- **A** - დივიდენდის სახით გასანაწილებელი თანხის ოდენობა,
- **B** - 2015 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხა,
- **C** - 2015 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგების ოდენობა,
- **D** - 2015 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგების ხარჯზე დივიდენდის სანაცვლოდ სადაზღვევო ორგანიზაციის მიერ პარტნიორისთვის გადაცემული ამ სადაზღვევო ორგანიზაციის აქციების ღირებულება.

ცვლილება შევიდა ასევე მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის III ნაწილის შესაბამის სტრიქონებში, მისი დანართის №1-ისა და №11 -ის დასახელებებში და შესაბამისი სტრიქონების შევსების წესში. კერძოდ, აღნიშნულ დანართებს სადაზღვევო ორგანიზაცია შეავსებს 2015 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილების შემთხვევაში ამავე პერიოდებში დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხის ჩათვლის კორექტირების მიზნით, ხოლო სხვა პირი - 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილებისას.

2. სათამაშო ბიზნესის დაბეგვრის საკითხებთან დაკავშირებით განხორციელებული ცვლილების შესახებ:

2024 წლის იანვრიდან ამოქმედდა სათამაშო ბიზნესის დაბეგვრის საკითხებთან დაკავშირებით საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილება, რომლის მიხედვით:

- სათამაშო აპარატების მომწყობ ფიზიკურ და იურიდიულ პირთათვის განისაზღვრა საშემოსავლო და მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი და გადასახადის განაკვეთი;
- სათამაშო აპარატების მეშვეობით მოწყობილ აზარტულ თამაშობებში მონაწილე პირის მიერ თამაშობის მომწყობი პირისგან გატანილი თანხა იბეგრება 5%-ით;

- აბარტული თამაშობის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მომწყობ პირთათვის შეიცვალა სამშემოსავლო და მოგების გადასახადის განაკვეთები;
- სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ აბარტულ ან/და მომგებიან თამაშობებში (გარდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი წამახალისებელი გათამაშებისა) მონაწილე პირის მიერ სისტემურ-ელექტრონული სათამაშო ანგარიშიდან გატანილი თანხა იბეგრება 5%-ით, ნაცვლად 2%-ისა.

საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ზემოაღნიშნული ცვლილება განაპირობებს ცვლილებას „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში, კერძოდ, ყოველთვიური დეკლარაციების ფორმებსა და მათი შევსების ინსტრუქციაში.

ცვლილების თანახმად, ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს სათამაშო აპარატების სალონის მოწყობას, 2024 წლის იანვრის თვის საანგარიშო პერიოდთან დაკავშირებით საგადასახადო ორგანოს წარუდგენს სათამაშო აპარატების სალონის მომწყობი პირის, აბარტული თამაშობის ან/და ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მომწყობი პირის სამშემოსავლო გადასახადის ყოველთვიურ დეკლარაციას, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, №II-041 დანართის ფორმით. აღნიშნული დეკლარაციის მე-3 ნაწილს დაემატა მე-3 სტრიქონი, რომლის მე-3 სვეტში აისახება სათამაშო აპარატების სალონის მომწყობი პირის მიერ საქმიანობის ამ ნაწილში საანგარიშო თვის განმავლობაში მიღებულ ფსონებსა და გაცემულ მოგებას შორის სხვაობა, ხოლო მე-4 სვეტში აისახება კუთვნილი სამშემოსავლო გადასახადი სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ნაწილში.

ცვლილება განხორციელდა გადახდის წყაროსთან დაკავშირებული გადასახადის დეკლარაციის შევსების წესში, კერძოდ, დეკლარაციის 21-ე უჯრაში მიეთითება სათამაშო აპარატების მემშვეობით მოწყობილ აბარტულ თამაშობაში მონაწილე პირთა მიერ გატანილი თანხა.

ამასთან, ცვლილება შევიდა მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის მე-4 ნაწილში, რომელსაც დაემატა მე-3 სტრიქონი, რომლის მე-3 სვეტში აისახება სათამაშო აპარატების სალონის მომწყობი პირის მიერ საქმიანობის ამ ნაწილში საანგარიშო თვის განმავლობაში მიღებულ ფსონებსა და გაცემულ მოგებას შორის სხვაობა, ხოლო მე-4 სვეტში აისახება კუთვნილი მოგების გადასახადი სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ნაწილში.

ცვლილება ფინანსთა მინისტრის №996 ბრძანებაში

1. ფინანსთა მინისტრის 996-ე ბრძანებაში 16.01.2024 წელს განხორციელებული ცვლილებით 41-ე მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ და „ლ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით. ასევე, 112-ე მუხლს დაემატა 68-ე პუნქტი, კერძოდ:

ცვლილების თანახმად, საბანკო დაწესებულების, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ 2023 წლის საანგარიშო პერიოდის მოგების წლიური დეკლარაციის მე-15 სტრიქონში მისათითებელი თანხა:

- **იზრდება იმ საპროცენტო შემოსავლით**, რომელიც არ არის აღიარებული 2023 წლამდე საანგარიშო პერიოდების ერთობლივ შემოსავალში და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) მიხედვით არც მომდევნო საანგარიშო პერიოდებში ექვემდებარება ერთობლივ შემოსავალში ასახვას;
- **იზრდება ერთობლივი შემოსავლიდან სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვების გამოქვითვის 2023 წლის 1 იანვრამდე მოქმედი წესის გაუქმების შედეგად წარმოშობილი რეზერვის ნაშთების სხვაობის სახით მიღებული დასახებრი მოგებით/შემოსავლით;**
- **მცირდება იმ საპროცენტო შემოსავლით**, რომელიც აღიარებული იქნა 2023 წლამდე საანგარიშო პერიოდების ერთობლივ შემოსავალში და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) მიხედვით მომდევნო საანგარიშო პერიოდებშიც ექვემდებარება ერთობლივ შემოსავალში ასახვას.

ამასთან, საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 134-ე ნაწილის მოთხოვნათა გავლენისწინებით - რომლის მიხედვით, ამ კოდექსის 109-ე მუხლის საფუძველზე, საბანკო დაწესებულების, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ ერთობლივი შემოსავლიდან სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვების გამოქვითვის 2023 წლის 1 იანვრამდე მოქმედი წესის გაუქმების შედეგად, 2023 წლის საანგარიშო პერიოდში წარმოშობილი რეზერვის ნაშთების სხვაობის შედეგად მიღებული დასახებრი მოგება/შემოსავალი იბეგრება 15%-ით - ცვლილება განხორციელდა დეკლარაციის 37-ე გრაფაში.

ცვლილების მიხედვით, საბანკო დაწესებულების, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ გაცემულ იმ სესხებთან მიმართებით, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად ექვემდებარება სამართლიან ღირებულებით აღრიცხვას და არ იქმნება შესაძლო დანაკარგების რეზერვები, სესხების გაუფასურებთ მიღებული ზარალი ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითება საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი საერთო წესების შესაბამისად.

2. ბაზრობის ტერიტორიაზე სტაციონარული სავაჭრო ობიექტების და არასტაციონარული სავაჭრო ადგილების იჯარით გაცემასთან დაკავშირებული ცვლილებები:

14.03.2024 წელს „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციას დაემატა 395-ე მუხლი.

ცვლილების თანახმად, პირი, რომელიც ახდენს ბაზრობის ტერიტორიაზე საქონლის სარეალიზაციოდ განკუთვნილი სტაციონარული სავაჭრო ობიექტისა და არასტაციონარული სავაჭრო ადგილის იჯარით (მათ შორის ქვეიჯარით) გაცემას, ვალდებულია, საგადასახადო ორგანოს ელექტრონულად წარმოუდგინოს ინფორმაცია ამ ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელ იმ პირთა (მათ შორის, ქვემოიჯარეთა) შესახებ, რომლებზეც სტაციონარული სავაჭრო ობიექტი ან/და არასტაციონარული სავაჭრო ადგილი იჯარით/ქვეიჯარით გაცემულია ერთ კალენდარულ დღეზე მეტ პერიოდით.

განხორციელებული ცვლილებით ასევე განისაზღვრა ზემოაღნიშნული ინფორმაციის წარდგენის ვადები, კერძოდ:

- **პირი ინფორმაციას საგადასახადო ორგანოს წარუდგენს არაუგვიანეს** ბაზრობის ტერიტორიაზე სტაციონარული სავაჭრო ობიექტის ან/და არასტაციონარული სავაჭრო ადგილის **იჯარით გაცემის თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა**, ხოლო ბაზრობის ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელ პირთა შემადგენლობაში ცვლილების (ხელშეკრულების ვადის გაგრძელების ან შეწყვეტის) შემთხვევაში – **არაუგვიანეს შესაბამისი ცვლილების თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა**;
- პირი, რომელიც სტაციონარული სავაჭრო ობიექტის ან არასტაციონარული სავაჭრო ადგილის იჯარით გაცემას ახორციელებს ისეთ ტერიტორიაზე, რომელიც აღნიშნული ინსტრუქციის 395-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად არ განიხილება ბაზრობის ტერიტორიად, ინფორმაციას საგადასახადო ორგანოს წარუდგენს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში **არაუგვიანეს პირობების დაკმაყოფილების თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა**;
- მოიჯარე/ქვემოიჯარე ბაზრობის ტერიტორიაზე იჯარით აღებული სტაციონარული სავაჭრო ობიექტის/არასტაციონარული სავაჭრო ადგილის ქვეიჯარით გაცემის შემთხვევაში, ვალდებულია, **ქვეიჯარით გაცემიდან 5 სამუშაო დღის ვადაში აღნიშნულის შესახებ აცნობოს პირს**, რომლის საკუთრებაში/მფლობელობაშია ბაზრობა და რომელიც ახდენს ამ ბაზრობის ტერიტორიაზე საქონლის სარეალიზაციოდ განკუთვნილი სტაციონარული სავაჭრო ობიექტის ან/და არასტაციონარული სავაჭრო ადგილის იჯარით (მათ შორის, ქვეიჯარით) გაცემას;
- პირი, რომელიც სტაციონარული სავაჭრო ობიექტის ან/და არასტაციონარული სავაჭრო ადგილის იჯარით გაცემას ახორციელებს ბაზრობის ტერიტორიაზე და აღნიშნული საიტარო ურთიერთობა წარმოშობილია 2024 წლის 1 აპრილამდე, ვალდებულია, ინფორმაცია საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს არაუგვიანეს 2024 წლის 31 მაისისა.

ზემოაღნიშნული მუხლით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის პირს პასუხისმგებლობა დაეკისრება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

პირის მიერ წარმოსადგენი ინფორმაციის ელექტრონულად გამოგზავნის მიზნით, მომხმარებლის ავტორიზებულ გვერდზე eservices.rs.ge მიმდინარეობს შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა.

ცვლილების ამოქმედების თარიღია [2024 წლის 1 აპრილი](#).

3. ცვლილება უკუდაბეგვრის წესით დარიცხული დღგ-ის თანხის ჩათვლასთან დაკავშირებით:

მიმდინარე წლის 5 თებერვალს ცვლილება განხორციელდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის № 996 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში, რომელიც ეხება უკუდაბეგვრის წესით დარიცხული დღგ-ის თანხის ჩათვლას, კერძოდ:

განხორციელებული ცვლილებით, გადასახადის გადამხდელს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის შემთხვევაში შესაძლებლობა აქვს ჩაითვალოს დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციამდე უკუდაბეგვრის წესით დარიცხული და გაანგარიშებაში ასახული დღგ-ის თანხა, თუ პირს აღნიშნული თანხის დადგენილი წესით ჩათვლის უფლება წარმოექმნება (დღგ-ით დასაბეგრო ოპერაციებში გამოყენება ხდება) დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის შემდეგ. ამასთან, ჩათვლა არ ხორციელდება იმ გაანგარიშების მიხედვით, რომელშიც ასახული დასაბეგრო ოპერაციის განხორციელების კალენდარული წლის დასრულებიდან გასულია 3 წელი.

შესაბამისი ცვლილებები შევიდა დღგ-ის დეკლარაციის შესაბამის დანართებსა და შევსების წესში, კერძოდ, დღგ-ის დეკლარაციის დანართი №III-25-ის:

- **დანართი „ა“-ს** მე-3 ნაწილს (დღგ-ის ჩასათვლელი თანხა) დაემატა 41-ე სტრიქონი, რომელშიც მიეთითება უკუდაბეგვრის წესით დარიცხული დღგ-ის თანხის გაანგარიშებაში ასახული დღგ;
- **დანართი „ბ“-ს** დაემატა მე-10 ნაწილი, რომელშიც აისახება უკუდაბეგვრის წესით დარიცხული დღგ-ის თანხის გაანგარიშებაში ასახული დღგ-ის თანხა, რომელიც ექვემდებარება ჩათვლას.

სიტუაციური სახელმძღვანელოები

დამტკიცდა ახალი სიტუაციური სახელმძღვანელოები

- 1) [ქონების გადასახადის დარიცხვა არარეზიდენტი ფიზიკური პირის საკუთრებაში რიცხულ ქონებაზე N1434](#)
- 2) [საცხოვრებელი მიზნით გამოყენებული ფართის რეალიზაცია N1519](#)
- 3) [CT-1 წარმოშობის პრეფერენციული სერტიფიკატის გამოყენება საქონლის ფაქტობრივი რაოდენობის 5%-იანი სხვაობის პირობებში N 2701](#)
- 4) [პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატის გამოყენება N2702](#)

ჩვენ შესახებ

MOORE abc წარმოადგენს აუდიტორული და საკონსულტაციო ფირმების გლობალური ქსელის "Moore Global Network Limited"-ის წევრ კომპანიას. Moore Global - ი წარმოადგენს საბუღალტრო და ბიზნეს საკონსულტაციო კომპანიის რომელიც მსოფლიოს 114 ქვეყანაშია წარმოდგენილი. 2019 წლისათვის ქსელის საერთო შემოსავალმა შეადგინა 3.05 მილიარდი აშშ დოლარი.



>114
ქვეყანაში



>260
წიგნი




>579
ოფისი



>30,809
თანამშრომელი

MOORE Abc არის ერთ-ერთ ლიდერი კომპანია ქვეყანაში, რომელიც 2008 წლიდან უწევს საბუღალტრო და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების, ქონების შეფასების, აუდიტსა და დაკავშირებულ პროფესიულ მომსახურებას მთელი საქართველოს მასშტაბით.

OUR SERVICES



www.moore-georgia.ge